რეზიუმე. როგორც მარქსი თვლიდა, საზოგადოების არასრულყოფილება რეალური და უცვლელია. მის მიერ წინ წამოწეული, ამ არასრულყოფილების ამხსნელი ყველა მიზეზი დღეისათვის არ არის მისაღები. ასეთი გაუცხოების მიზეზი შეიძლება უნდა ვეძებოთ არა კაპიტალისტურ სისტემაში, არამედ თვით ადამიანის ბუნებაში, რადგან მას უამრავი ნაკლი აქვს და მათ შორის ისეთი ნაკლიც, რომელსაც ვერასოდეს მოიშორებს. ასეთი არასრულყოფილება მიუთითებს ადამიანის ბუნების მუდმივობაზე. საეჭვოა, რომ ადამიანის ბუნება გამოსწორებულიყო ამ ბოლო ორი ათასწლეულის მანძილზე. თუ გავისხენებთ მეოცე საუკუნის ომების საშინელებებს, კერძოდ კი იმ ომისას, რომელიც 1939-1945 წლებში მძვინვარებდა, უნდა დავასკვნათ, რომ ადამიანის განვითარება ზნეობრივი თვალსაზრისით (სხვა რა სახის პროგრესი შეიძლება არსებობდეს) ჩამორჩენილია. ზნეობრივი განვითარების გარეშე კი კაცობრიობის მომავალი შემადარწუნებელია. კარლ მარქსის სამართლიანი საზოგადოება, არ შეიძლება ითქვას, რომ სადღაც კუთხეში იმალება. რასაკვირველია, კარლ მარქსს არ მიაჩნია ასეთი 'მორალური გაუმჯობესება' სოციალური დაავადების წამლად. ამავ დროს ამ დაავადების წამალი, თუ კი ამგვარი ტყვიულდამაყუჩებელი მოინახება, შეიძლება ის არ აღმოჩნდეს, რაც ადამიანს სჭირდება და მანც, მარქსი ისტორიულ პროცესში ხედავს ოქროს გასაღებს, რომელიც ჰარმონიას და ბედნიერებას უღებს კარებს. როცა დრო ისტორიულად მომწიფდება, კაპიტალიზმი აუცილებლად გადაიზრდება განვითარების შემდგომ ხანაში - კომუნალურში. ისტორიის ამ კანონების არსებობა ჯერ კიდევ საკითხავია. ისტორიული განვითარების განსაზღვრული კანონის პოსტულირება სრულიად უსაფუძვლოა. იმ მარტივი შემთხვევისათვისაც კი, როგორიცაა ვაშლის ხიდან ჩაბოვარდნა, შეინიშნება მთელი რიგი კანონების მოქმედება. აქ არ არსებობს მკაფიო შეზღუდვა სხვადასხვა მეცნიერული კანონების რაოდენობაზე, რომლებიც ამ პროცესში მონაწილეობს - მიზიდულობის და მექანიკის კანონები, ქარის წნევის ძალა, რტოთა მოქნილობა, ხის ხრწნადობა და ა. შ. [1, გვ. 51]. გამომდინარე აქედან, მარქსის შეხედულება ისტორიაზე, როგორც რაღაც წინასწარ განსაზღვრულზე, რაც ფართო მასშტაბის წინასწარმეტყველების საშუალებას იძლევა, ძნელად მისაღებია.

მარქსის წინასწარმეტყველება პროლეტარიატის როლის შესახებ, უბრალოდ არ გამართლდა. მეორე მსოფლიო ომის დაწყებისა და ლორდ კეინის თეორიის გამოკვეყნების შემდეგ კაპიტალიზმი იმყოფება სტაბილურობისა და წარმატების ხანაში.

მარქსის რწმენა, რომ ადამიანი თავისი გაუცხოების გამო იგონებს რელიგიას, ქმნის. ღმერთს, რომელსაც ანიჭებს კეთილშობილურ თვისებებს, რაც თვითონ აკლია, სიმართლეს არ შეეფერება და ფაქტობრივად დაუსაბუთებელია. უფრო ძნელი დასაჯერებელია, რომ ადამიანმა შექმნა თავისი თავი, ვიდრე ის, რომ იგი შექმნა უზენაესმა ღვთაებამ. უფრო მეტად ძნელია ირწმუნო, რომ ადამიანს შეუძლია შექმნას თავისი თავი ხელახლა, უბრალოდ ბრძოლით, აჯანყებით და საბოლოოდ შექმნას საზოგადოების ის ტიპი, რომელშიც ადამიანი იქნება რაღაც სხვა, ვიდრე იგი ამჟამადაა. ძნელია ირწმუნო, რომ ადამიანი უღმერთოდ არის დეითური.

უფრო მეტიც, ღმერთის რწმენამ შეიძლება მისცეს ძლიერი სტიმული მათ, ვინც ცდილობს გააუმჯობესოს ადამიანის ყოფა. მარქსისტების ადამიანური მორალის პროექტი აუცილებელი არაა, რომ იყოს თვითდაამკვიდრებელი. ამგვარ

პროექტს აკლია მყარი საფუძველი, რაც შეიძლება იყოს ღმერთის ქრისტიანული გაგება. მარქსისტისათვის თავისუფალ და დამოუკიდებელ ადამიანთა სამართლიანი საზოგადოება, საბოლოო მიზანია. ქრისტიანისათვის კი სამართლიანი საზოგადოება მხოლოდ უახლოესი მიზანია. უფრო მეტიც, არასრულყოფილება არ დაიძლევა მშინაც, თუ იგი მიიღწევა. როგორც კამიუ ამბობს: "ადამიანს შეუძლია გააუმჯობესოს თავის თავში ყველაფერი, რისი გაუმჯობესებაც შეიძლება, მან უნდა გამოასწოროს ყველაფერი, რისი გამოსწორებაც შეიძლება. მაგრამ ამის შემდეგაც დაიხრებინან ბავშვები უსამართლოდ, თუნდაც სრულყოფილ საზოგადოებაში. მიუხედავად დიდი ძალისხმევისა, ადამიანს შეუძლია მხოლოდ არითმეტიკულად შეამციროს მსოფლიოში ტანჯვა."

Марксово справедливое общество и его контрасты

Джон Конвей О'Брайен
Калифорнийский государственный университет

Резюме. Несовершенства общества, на которые Карл Маркс никогда не уставал ссылаться, были реальны и постоянны. Однако не все доводы, выдвинутые им для объяснения существования этих несовершенств приемлемы в целом. Причина или причины отчуждения возможно находятся не в капиталистической системе. Они могут находиться в самом человеке, в котором уж точно масса несовершенств, возможно и таких несовершенств, от которых никогда нельзя избавиться. Эти несовершенства указывают на постоянство человеческой природы. Весьма сомнительно полагать, что человеческая природа улучшилась, скажем за последние две тысячи лет. Если взять за ориентир ужасы войн двадцатого века, особенно войну 1939-1945 годов, то непременно придется сказать, что развитие человека с моральной точки зрения (и какой еще может быть прогресс в этом?) весьма отстало. Без этого морального улучшения будущее человечества выглядит угрожающе. Нельзя сказать, что по-настоящему человеческое общество Карла Маркса, скрывается где-то за углом. Конечно же, Маркс не смотрит на такое моральное улучшение" как на средство от социальных болезней. В то же самое время, средство, даже если такое болеутоляющее средство будет найдено, не обязательно будет тем средством, в котором и нуждается человеческое состояние.

И тем не менее Маркс видит золотой ключ в историческом процессе, который открывает двери к гармонии и счастью. Когда исторически это время наступит, капитализм непременно перейдет к следующему процессу развития - коммунизму. То, что существуют законы истории, весьма сомнительно. Постулирование определенного закона исторического развития кажется в высшей степени несостоятельным, особенно когда указывают на количество законов, которые действуют, когда яблоко падает с дерева. Сейчас для любой определенной последовательности событий, даже такого очевидного как падение яблока с дерева нет четкого

ограничения в количестве различных научных законов, которые в этом процессе участвуют - законы гравитации и механики, давления ветра, эластичность веточки, гниение дерева, и т.д., и т.п." [1, р.51]. Трудно принять марксистское видение истории как чего-то предрешенного, что позволяет заниматься пророчеством в широком масштабе.

Пророчество Маркса о роли пролетариата просто не сбылось. С началом Второй Мировой Войны и появлением теории лорда Кейнса капитализм находится на этапе несравненной стабильности и процветания.

Вера Маркса в то, что человек создает религию в силу своей отчужденности, создает Бога, которому он может приписать те благородные качества, которых он сам лишен, не соответствует действительности и по сути своей неубедительны. Гораздо сложнее верить в то, что человек создал себя сам, нежели в то, что он был создан благодатью Высшего Существа. Гораздо сложнее верить в то, что человек может создать себя заново просто разжиганием раздора, перерастающего в восстание и в конечном итоге созданием такого общества, в котором человек будет другим, нежели он есть на самом деле. Трудно верить в то, что человек без Бога является божественным.

Более того, вера в существование Бога может дать мощный стимул тем, кто усердно старается улучшить человеческие условия.

Проект человеческой морали марксистов не обязательно является самоутверждением. Такому проекту недостает прочного основания, которое следует искать в Христианском утверждении Бога. Для марксиста, справедливое человеческое общество свободных и независимых людей является конечной целью. Для христианина, справедливое человеческое общество является ближайшей целью. Более того, когда и если это будет достигнуто, то несовершенства все же будут избыловать; несовершенства в довольно большом количестве, чтобы завладеть сердцем. Как говорит Камю, с которого мы начали и которым мы завершаем:

Человек может улучшить в себе все то, что следует улучшить. Ему следует исправить в творении все то, что должно быть исправлено. И после того, как он это сделает последующие поколения все же будут несправедливо страдать даже в совершенном обществе. Даже ценой своих самых сильных усилий человек может всего лишь арифметически уменьшить вселенские страдания.

ფასების პროგნოზირებისა და სტაბილიზაციის შესახებ

რ. მითაიშვილი

თბილისი, ზანდუკელის 16

ეკონომიკის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი

შემოვიდა 1993 წ. 10 დეკემბერს

რეზიუმე. მბრძანებლური ადმინისტრაციული ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდისათვის, ეკონომიკის კრიზისული მდგომარეობისა და ჰიპერინფლაციის პირობებში ნაჩვენებია, რომ შესაძლებელია ამა თუ იმ საქონელზე ფასების პროგნოზირება, ჩვეულებრივი მარტივი რეგრესიის მოდელებით.

ნაშრომში გაანალიზებულია ვალუტის გაუფასურების პროგნოზირების შესაძლებლობა, რისთვისაც გამოყენებულია წრფე, ექსპონენტა და ლოგოსტიკური წირები. დასაბუთებულია, რომ ამ მოდელების გამოყენებით შესაძლებელია მოკლევადიანი პროგნოზების შემუშავება.

აღრიცხვის მოშლის პირობებისათვის შემოთავაზებულია ეკონომიკის დაქვეითების სიდიდის განსაზღვრა ირიბი მეთოდებით, კერძოდ საქმე ეხება რკინიგზაზე გადაზიდვების მოცულობის კავშირს ეროვნულ შემოსავალთან. რკინიგზაზე შესრულებული სამუშაოს მოცულობის კლება პროპორციულად აისახება ეროვნული შემოსავლის შემცირებაში.

ფასების სტაბილიზაციაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მონოპოლისტი საწარმოებისათვის ფასების რეგულირებას - რისთვისაც შემოთავაზებულია ფასის (რენტაბელობის) დაწესების მექანიზმი და ჯარიმების ამოღების პრინციპი.

ფასების პროგნოზირებისათვის აუცილებელია იმ სირთულეთა, რაც შეიძლება, მაქსიმალური გათვალისწინება; რომლებიც დამახასიათებელია ფასწარმოქმნისათვის, განსაკუთრებით მბრძანებლური ადმინისტრაციული ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდისათვის, მით უფრო ეკონომიკის კრიზისული მდგომარეობის დროს.

ფასების ცვლილება გვაძლევს იმის საფუძველს, რომ შევცვალოთ სამეურნეო ქცევა. ფასების პროგნოზი, როგორც წესი, ემყარება მისი განმსაზღვრელი ფაქტორების მოქმედების გათვალისწინებას. მათგან ძირითადია მოწოდება-მოთხოვნის თანაბარდობა.

კონკრეტულ საქონელზე ფასის პროგნოზისათვის მნიშვნელობას იძენს მარაგის ცვლილების სიდიდე და ამ უკანასკნელის საფუძველზე მისი მოსალოდნელი. დონის დადგენა.

არსებულ პირობებში, და საერთოდ, ძალზე რთულია იმ შემთხვევითი ფაქტორის ზეგავლენის გაზომვა, რომელმაც სხვა თანაბარ პირობებში, შეიძლება არსებითი გავლენა მოახდინოს ფასების დონეზე.

ფასების ასეთი განსაზღვრისას ურთულესი ამოცანაა მოთხოვნის მოცულობის დადგენა, რადგან ის თავად მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული და როგორც წესი, მისი ეგზოგენურ ცვლადად წარმოდგენა პრაქტიკულად შეუძლებელია. მხოლოდ საბირჟო ვაჭრობის დროსაა შესაძლებელი ამა თუ იმ მოთხოვნის მოცულობისა და მოთხოვნის, ფასების ფიქსაცია.

პრაქტიკულად ფიქსაციას ექვემდებარება თავად ფასი და მოწოდების მოცულობები.

თანამედროვე ეკონომიკის მდგომარეობის შესწავლა ადასტურებს, რომ ზემოთ აღნიშნული სიტუაცია და რეალური ვითარება მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან. პირველ რიგში საგულისხმოა, რომ ფასების დაწესება მეტწილ საჭონელებზე ლიბერალიზებულია, მაგრამ არის მთელი რიგი პროდუქტისა და მომსახურების სახეობები, რომლების ფასების ლიბერალიზაცია არ განხორციელებულა. მაგალითად, პურზე, ელექტროენერგიაზე, საქალაქო ტრანსპორტზე, კომუნალურ მომსახურებაზე და სხვა ამ სახეობებზე ფასების მკვეთრად, აღმინისტრაციულად გაზრდა ავტომატურად იწვევს სხვა დანარჩენ საჭონელებზე და მომსახურებაზე ფასების ზრდას.

ფასების ლიბერალიზაციის შედეგად 1992 წლის მარტში შესაბამის პერიოდთან შედარებით ფასები 9-ჯერ გაიზარდა, ხოლო რეგულირებული ფასები და ტარიფები დაახლოებით 8-ჯერ. 1992-1993 წლის პირველ ნახევარში საცალო ფასების დინამიკის ამსახველი ცხრილი 1-დან ჩანს, რომ გასული წლის პირველ ნახევარში ფასების საშუალო თვიური ზრდის ტემპი შედარებით მაღალი იყო; განსაკუთრებით სასურსათო საჭონელებზე, - შაქარი - 92%, კარაქი - 48%, ნიორი - 73%, მინერალური წყლები - 58%, ღორის ხორცი - 45%. ფასების გადიდების მაღალი ტემპები ძირითადად გამოიწვია კუპონების გაუფასურებამ, ფაქტობრივად იგი მიმოქცევაში დაუცველად იყო გამოშვებული, სწორედ ამის მიზეზია ის, რომ ხახვზე თვიური ზრდის ტემპმა 140% მიაღწია, კომბოსტოზე - 113%, ხორცზე - 101%, კარტოფილზე 87%; სამაშულო უფილტრო სიგარეტებზე - 90%; ყვერცხზე - 70%, ვერმიშელზე და მაკარონზე - 72% და სხვ. ხორბლის ფქვილზე და კარაქზე ფასების ზრდის ტემპი შემცირდა კიდევ, მაგრამ ეს პროდუქტის მხოლოდ მანეთებზე იყიდებოდა.

ცხრილი 1

ფასების დინამიკა ძირითადი სასაქონლო ჯგუფების მიხედვით 1989-1993 წ.

(*-ით აღნიშნულ გრაფაში ფასები მოცემულია მანეთებში)

პროდუქტის დასახელება	ზომის ერთეული	1992წ იანვარი	1992წ ივნისი	საშუალო თვიური ზრდის ინდექსი 1992წ ივნისიდან	1993წ იანვარი	1993წ ივნისი კუპონი	საშუალო თვიური ზრდის ინდექსი 1993წ ივნისიდან
სასურსათო საჭონელები							
ხორბლის ფქვილი I ხარ.	კგ	3.66	13.00	1.29	120.0	300.0	1.20
მაკარონი	კგ	9.0	13.50	1.08	130.0	2000.0	1.72
ვერმიშელი	კგ	6.5	11.90	1.13	130.0	2000.0	1.73
კარტოფილი	კგ	2.85	8.00	1.23	65.0	1500.0	1.87
კომბოსტო	კგ	1.90	10.00	1.39	18.00	800.0	2.13
ხახვი	კგ	4.19	20.00	1.37	25.0	2000.0	2.40
ნიორი	კგ	6.45	100.00	1.73	300.0	3000.0	1.58
ვაშლი	კგ	5.00	30.00	1.43	50.0	500.0	1.58

მცენარეული ზეთი	ლ	9.14	40.00	1.34	300.0	3500.0	1.63
მსხვილფეხა საქონლის ხორცი	კგ	19.60	85.00	1.34	180.0	6000.0	2.01
ღორის ხორცი	კგ	15.10	100.00	1.45	250.0	8000.0	2.0
კარაჭი	კგ	30.00	210.00	1.48	1200.0	2000.0	1.11
რძე	ლ	6.43	12.00	1.14	75.0	180.0	1.19
ხაჭო	კგ	6.73	36.00	1.39	300.0	600.0	1.15
ყველი	კგ	20.60	96.00	1.36	800.0	5000.0	1.44
კვერცხი	ცალი	0.60	2.50	1.33	21.0	300.0	1.70
შაქარი	კგ	2.10	55.00	1.92	130.0	170.0	1.06
არაყი	0.5 ლ	9.10	85.00	1.56	350.0	2200.0	1.44
სამარკო წითელი ღვინო	0.7ლ	6.80	33.00	1.37	120.0	1300.0	1.61
ორდინალური თეთრი ღვინო	0.7ლ	4.20	14.00	1.27	86.0	860.0	1.58
მინერალური წყალი	0.5ლ	0.40	4.00	1.58	40.0	250.0	1.44
სიგარეტი უფილტრო სამა- მულო	20ც	1.20	5.80	1.37	12.00	300.0	1.90
მსუბუქი მრეწველობის საქონ- ელი							
შარვალი	ცალი				2500	12000*	1.11
ბამბის კაბა	ცალი				800	8000*	1.17
ქალის კოლოტკები	ცალი				70	1500*	1.24
ქალის ფეხსაცმელი გაზაფხულ- შემოდგომის	ცალი				2400	25000	1.18
მამაკაცის შალის დრაფის პალტო	ცალი				4000	80000*	1.31
მამაკაცის ბამბის წინდა	ცალი				50	1200	1.25
ქალის ჩექმა	ცალი				2500	40000*	1.21
ქალის მოდელოური ფეხსაცმელი	ცალი				1500	40000*	1.26
კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულე- ბის საქონელი							
სასადილო მაგიდა	ცალი				800	500000*	1.58
საკერავი მანქანა	ცალი				1500	150000*	1.38

მაგნიტოფონი ერთკასეტიანი	ცა-ლი				1500	90000*	1.34
ვიდეომაგნიტოფონი	ცა-ლი				25000	140000*	1.13
შავ-თეთრი ტელევიზორი	ცა-ლი				12000	150000*	1.41
ფერადი ტელევიზორი	ცა-ლი				15000	250000*	1.41
სკოლის რვეული (12ფურ.)	ცა-ლი				2.5	70	1.26
ტელეტის საპონი	ცა-ლი				12	75*	1.13
სარეცხი საპონი	ცა-ლი				6	160*	1.26
სამგზავრო ტრანსპორტი, საწვავი							
მეტროპოლიტენი	მგზავრი	0.05	0.05	1.0	0.6	5.0	1.16
ტრამვაი, ტროლეიბუსი							
ავტობუსი	მგზავრი	0.05	0.05	1.0	0.5	5.0*	1.18
ბენზინი	მგზავრი	0.40	0.60	1.05	4.0	500*	1.41

საკმაოდ მაღალი ტემპით იზრდებოდა საცალო ფასები მსუბუქი მრეწველობისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების საქონელზე, რომელიც ძირითადად რუსულ ფულზე იყიდებოდა, ამიტომ ზრდის ტემპი შედარებით ნაკლებია, ვიდრე სასურსათო საქონელზე, მაგრამ აქაც მდგომარეობა მეტად არასახარბიელოა. ასე მაგალითად, სასაბჭოთაო მაგიდაზე ფასების ზრდის ტემპმა თვეში 58% შეადგინა; ტელევიზორებზე 41%; მამაკაცის პალტოზე 31%, ბენზინზე 41%; შედარებით სტაბილური ფასით ხასიათდებოდა საერთო სარგებლობის სამგზავრო ტრანსპორტით მგზავრობა და კომუნალური მომსახურება.

ანალოგიური მდგომარეობაა საბითუმო ფასებშიც. 1 ტ ჭვანახშირის ფასის საშუალო თვიური მატება 33% აღემატებოდა, შესაბამისად აგურზე 41%, სამადნე ელმავალზე 24%, ავტომობილის მისაბმელზე 22%, მინიტრაქტორზე 28% (იხ. ცხრილი 2).

საბჭოთა კავშირის ერთიანი სახალხო მეურნეობრივი კომპლექსიდან საქართველოს გამოსვლამ და ფასწარმოქმნის ლიბერალიზაციამ გამოიწვია რესურსებისა და საქონლის საყოველთაო დეფიციტი, შემცირდა წარმოების ტემპები, გაუფასურდა საწარმოთა ლიკვიდური საშუალებები, მოსახლეობის დანაზოგები, კატასტროფულად დაეცა მოსახლეობის ცხოვრების დონე. გაიზარდა სოციალური დაძაბულობა, გართულდა კრიმინოგენული ვითარება.

ეკონომიკურ ვითარებას რესპუბლიკაში კიდევ უფრო მეტად ართულებდა რუსეთის ხელისუფლების მიერ გატარებული დისკრიმინაციული ღონისძიებები, რის შედეგადაც მთელ რიგ სტრატეგიული დანიშნულების ნედლეულზე - ფერად ლითონებსა და ენერგომატარებლებზე დაწესდა მაღალი საბაჟო გადასახადები, რის შედეგადაც მათი ფასები მსოფლიო ფასებს გაუტოლდა.

რესპუბლიკაში სამომხმარებლო დანიშნულების საქონელზე ფასები ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებთან შედარებით მაღალია. ამიტომ ერთ-ერთი უმთავრესი

სტრატეგიული მიზანი უნდა იყოს ფასების ზრდის ტემპის შეჩერება, რაც მეტად ძნელი მისაღწევია იმის გამო, რომ რესპუბლიკის ეკონომიკის ფუნქციონირებისათვის საჭირო ენერგორესურსები და მარცვლული, რძე და რძის ნაწარმი, ხორცი და ხორცის პროდუქტები, მცენარეული ზეთი და შაქარი ძირითადად საიმპორტო საქონელია და იქ მათზე ფასები მაღალი ტემპით იზრდება.

ცხრილი 2

საბითუმო ფასების დინამიკა 1993 წ. იანვარი-ივნისი

პროდუქტის დასახელება	ზომის ერთეული	1993წ იანვარი	1993წ ივნისი	საშუალო თვიური ზრდის ინდექსი
ჭვანახშირი	ტონა	1355	7000	1.39
ნახშირი კოქსადი	ტონა	3000	14000	1.36
ელმავალი სამადნე	ცალი	602000	1800000	1.24
ავტომობილის მისაბმელი	ცალი	250000	684000	1.22
მოტობლოკი	ცალი	58381	150000	1.21
მინიტრაქტორი	ცალი	122411	437000	1.28
ლითოფონი	ტონა	75000	23000	1.25
ელმავალი მაგისტრალური	ცალი	55000000	90000000	1.10
მაგნიტური გამწვეები	ცალი	900	1500	1.11
ელექტროშემაერთებელი	ცალი	275	429	1.09
აგური სილიკატური	ცალი	5.4	30	1.41
ქსოვილი აბრეშუმის	გრძ.მ	350	450	1.05
ქსოვილი შალის		1600	2180	1.06
კონიაკი	დკლ	2000	4750	1.18
ლუდი	0,5ლ	8.9	150	1.75
სიგარეტი	20ც	30.2	80	1.21

საწვავზე ფასების კატასტროფულმა ზრდამ და მისი მიწოდების არასტაბილურობამ გამოიწვია რესპუბლიკაში მოთხოვნილების მნიშვნელოვანი დაუკმაყოფილებლობა და მთელი რიგი დარგებისა და საწარმოების ხანგრძლივი გაჩერებაც კი.

საქართველოს ეკონომიკური სივრცე მჭიდრო კავშირშია რუსეთისა და დსთ-ს ეკონომიკურ სივრცესთან, მაგალითად, ნავთობპროდუქტებზე ფასების მკვეთრი ზრდა, მიუხედავად იმისა, რომ დსთ ჩვენთან მსოფლიო ფასებით ვაჭრობს, მაშინვე მკვეთრად აისახება ჩვენს ფასებზე, რადგან იქ მანეთი ჯერ კიდევ სწრაფად უფასურდება.

ვინაიდან ეს ფაქტი ეჭვს არ იწვევს, საჭიროა თავად მანეთის გაუფასურების პროგნოზის შემუშავება. როგორც გამოცდილება ცხადყოფს, ის მოკლევადიან პროგნოზს საკმაოდ კარგად ეჭვმდებარება. თუ ეს სწორია, მაშინ შესაძლებელი უნდა იყოს სხვადასხვა სახეობის პროდუქციაზე და მომსახურებაზე ფასების მოკლევადიანი პროგნოზის შემუშავება. ამ დებულებას ქვემოთ ცხრილ 3-ში მოცემული სტატისტიკური მახასიათებლები ადასტურებს.

ცხრილ 3-ში მოცემული ტრენდული მოდელები ასახავენ ფასის დამოკიდებულებას დროსთან, მანეთებში. დროის ერთეული ერთი თვის ტოლია. ცხადია, რომ სტატისტიკური მახასიათებლები დამაკმაყოფილებელია, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ დაკვირვებები ფასებზე მხოლოდ თვეში ერთხელ ტარდებოდა და მოიცავს ინფორმაციას 1992 წლის აპრილიდან 1993 წლის ივნისის ჩათვლით.

ცხრილი 3

ზომიერთ სასურსათო პროდუქტებზე ტრენდული მოდელები და მოდელების სტატისტიკური მახასიათებლები

პროდუქციის დასახელება	ტრენდული მოდელი	კორელაციის კოეფიციენტი	სტატისტიკური შეცდომა
პურის ფქვილი	$y = -30,7 + 16,5t$	0,96	19,3
ბრინჯი	$y = 100,9 + 33,9t$	0,92	62,81
მაკარონი	$y = -48,7 + 21,3t$	0,91	42,27
მშრალი რძე	$y = -124,5 + 65,6t$	0,96	87,3
ძროხის ხორცი	$y = -389,9 + 119,4t$	0,90	261,0
ფრინველის ხორცი	$y = -354,6 + 122,9t$	0,94	88,6
მცენარეული ზეთი	$y = -142,6 + 63,8t$	0,95	92,1
კარაჭი	$y = -948,7 + 138,7t$	0,90	296,2
კვერცი	$y = 10,0 + 3,5t$	0,92	6,8
შაქარი	$y = -85,8 + 43,5t$	0,85	116,2
კარტოფილი	$y = -45,6 + 14,8t$	0,89	33,5
ასანთი	$y = 1,61 + 0,88t$	0,95	1,3

მიღებული შედეგები იმას ადასტურებენ, რომ ფასები ჰიპერინფლაციურ პირობებშიც კი მოკლევადიან პროგნოზს ექვემდებარება.

სტრატეგიული მიზნიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მთელი რიგი მომენტების გათვალისწინება, კერძოდ, ადგილი ექნება თუ არა მანეთის შემდგომ გაუფასურებას და რა ზომით.

პირველ შემთხვევაში იგულისხმება, რომ ადგილი ექნება არსებული ეკონომიკური ტენდენციების შენარჩუნებას. ამ მოსაზრების საფუძველზე შემუშავდა სხვადასხვა ტიპის ეკონომეტრიკული მოდელი. ჭეშმით შემოთავაზებულია წრფივი და ექსპონენციალური მოდელები. პირველი მოდელის კორელაციის კოეფიციენტი 0,97 ტოლია, ხოლო მეორეს - 0,98. მოდელებს შემდეგი სახე აქვთ:

$$\bar{y} = -447 + 2,66t,$$

$$y = e^{(3,97 + 0,0057t)}.$$

სადაც y - მანეთის კურსის დოლარის მიმართ, t - დრო (დღეებში).

მეორე მომენტი მდგომარეობს იმაში, რომ უნდა გამოვიდეთ საერთო ეკონომიკური ტენდენციების განვითარების ანალიზიდან, კერძოდ იმის დასაზღვევად, მოსალოდნელია თუ არა მანეთის კურსის სტაბილიზაცია. თუ ეს ასეა, მაშინ სტაბილიზაციის წერტილის მოსაძებნად უნდა გამოვიყენოთ ლოგისტიკური წირის აგების მეთოდი.

ჩვენს მიერ აგებულ წირს შემდეგი სახე აქვს:

$$\bar{y} = 1355 / (1 + 11,81e^{-0,007t}).$$

ლოგისტიკური მოდელიდან ჩანს, მანეთის კურსი დოლარის მიმართ არ შეიძლება 1355 მან-ს აღემატებოდეს, როგორც გაანგარიშებებმა გვიჩვენა 1993 წლის დეკემბერში ერთი დოლარი 1258 მან. ელირება, 1995 წლის იანვარში 1350 მან.

ლოგისტიკური მოდელიდან გამომდინარე, ცხადია, რომ ადგილი უნდა ჰქონდეს მანეთის კურსის სტაბილიზაციას, რაც ფასების ზრდის ტემპის შემცირების საწინდარია. ამიტომ დასადგენია, დამთავრდა თუ არა ეკონომიკის დაქვეითება. ამის შესაძლებლობის ნათელსაყოფად, როდესაც არ არსებობს ინფორმაცია წარმოების მოცულობის დაქვეითებისა და ამ პროცესის განვითარების შესახებ, შესაძლებლად მიგვაჩნია რკინიგზის ტრანსპორტზე ტვირთის დატვირთვისა და გადმოტვირთვის მოცულობების დინამიკის გამოყენება თვეების კრილში, რადგან აქ შედარებით მოწესრიგებულია აღრიცხვა და ეს მაჩვენებლები მჭიდრო კორელაციურ კავშირშია ერთობლივ პროდუქტთან, ეროვნულ შემოსავალთან და საერთოდ სხვა მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებთან.

აღნიშნულის ილუსტრაციას წარმოადგენს:

1. თვეების კრილში რკინიგზის ტრანსპორტზე გადაზიდვების მოცულობების (1990-1993 წწ.) ანალოგი გვიჩვენებს, რომ გადაზიდვების მოცულობების ქვედა ზღვარმა მიაღწია თავის ასიმპტოტას (კორელაციის კოეფიციენტი ციკლორობის გათვალისწინების გარეშე 0,9 ტოლია, რაც საკმაოდ კარგი შედეგია), ე. ი. გადაზიდვების შემდგომი დაქვეითება არ უნდა მოხდეს.

2. გაანგარიშების თანახმად, რკინიგზაზე გადმოტვირთვის მოცულობებსა და ეროვნულ შემოსავალს შორის (შესადარ ფასებში) შემდეგი სახის კავშირი არსებობს

$$\bar{y} = e(6,826 + 0,000054x)$$

სადაც y - ეროვნული შემოსავალია შესადარ ფასებში (მლნ.მანეთი), ხოლო x - ტვირთების გადმოტვირთვის მოცულობა (ათასი ტონა).

კორელაციის კოეფიციენტმა 0,94 შეადგინა.

ამ მოდელების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ 1992 წელს ეროვნული შემოსავალი 1761,6 მლნ.მან. უდრიდა, რაც 1986 წლის 18,6% შეადგენს.

მიღებულა შემდეგი იმის საფუძველია, რომ ფასების შესახებ ინფორმაციის მწვავე დეფიციტის პირობებში, განსაკუთრებით საბითუმო ფასებზე, ჩავატაროთ პროგნოზი იმ ვარაუდით, რომ პირველ ვარიანტში ფასები მანეთის კურსის პროპორციულად შეიცვლება, ხოლო მეორე ვარიანტის დროს მანეთის კურსის სტაბილიზაციის კვალობაზე ფასები ფულის ემისიის პროპორციულად გაიზარდება. ცხადია, აღნიშნული პროპორცია დამოკიდებული იქნება ინფორმაციის რაოდენობაზე.

I. დასახული სტრატეგიული მიზნის მისაღწევად საჭიროა მთელი რიგი ღონისძიებების გატარება. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი:

თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის მოდელი გულისხმობს სრულყოფილ კონკურენციას. ამიტომ მასზე გადასვლა მოითხოვს ფასების გაშვებას, ლიბერალიზაციას, რადგან საქართველოში არსებობს თავისუფალი, ოლიგოპოლიური და მონოპოლიური ბაზრები, ამიტომ ამ ორ უკანასკნელზე ფასების დაწესება სახელმწიფოს მიერ მოწესრიგებული უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში რეცესია გაღრმავდება, ხოლო ფასების ზრდა არ შეჩერდება.

ზღვრული ფიქსირებული ფასების, ფიქსირებული რენტაბელობის ზღვრული დონეების დაწესება რეცესიისა და ჰიპერინფლაციის პირობებში აღრმავებს ამ პროცესებს, ზრდის მოუწესრიგებლობას.

ყოველად დაუმუშავებელია რუსეთის ხელისუფლების მიერ გატარებული ღონისძიებების ჩვენს პირობებზე გადმოტანა, რადგან მათი დადგენილებები ფასების რეგულირების საკითხში ეწინააღმდეგება დებულებას იმის შესახებ, რომ რეცესიისა და ჰიპერინფლაციის პირობებში ფასებისა და რენტაბელობის ფიქსაცია აღრმავებს რეცესიასა და ზრდის მოუწესრიგებლობას, ე. ი. ფიქსირებული რენტაბელობის

ზღვრული დონე სწრაფად ხდება პროდუქციის წარმოების თვითღირებულებაზე ნაკლები (გავისხენით ფიქსირებული ფასები პურზე, საქალაქო ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ტარიფებზე, ელექტროენერგიაზე და სხვა).

შესაძლებელია ისეთი ეკონომიკური მექანიზმის ფორმირება, რომლის მეშვეობით უზრუნველყოფილი იქნება ფასების იმგვარად დაწესება, რომლის შედეგად მონოპოლისტი მიიღებს რეალიზებული პროდუქციიდან ამონაგებს გარკვეული სიდიდით. ამ უკანასკნელმა კი უნდა უზრუნველყოს (ინფლაციის ტემპის გათვალისწინებით) მონოპოლისტის ფუნქციონირება მინიმალური რენტაბელობით და უზიძვრის მას დივერსიფიკაციისაკენ ან უფრო წვრილ საწარმოებად დაშლისაკენ.

ფასების დაწესების მოდელი არსებული ინფლაციის პირობებში უნდა ითვალისწინებდეს იმ უპიკველ ფაქტს, რომ ბანკის პროცენტი არ შეიძლება ნაკლები იყოს $p+r$, სადაც p - ფასების ზრდის ტემპი (სიჩქარე), ხოლო r მინიმალური სარგებლის განაკვეთია (1, გვ. 113).

ახალი მოძრაი ფიქსირებული ფასების ეკონომიკური მექანიზმის შექმნამ უნდა უზრუნველყოს ფასების იმგვარად დაწესება, რომელიც ითვალისწინებს ნორმალური პირობების რენტაბელობის დონესა და ეკონომიკის კრიზისულ სიტუაციას, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ინფლაციისა და მონოპოლისტისათვის მინიმალურ დასაშვებ რენტაბელობის დონეს ნორმალურ პირობებში.

სიმარტივისათვის მივიღოთ, რომ $M = p$, ე. ი. ფასების ზრდის ტემპი მიმოქცევაში ფულადი ნიშნების რაოდენობის ზრდის ტემპის ტოლია (1, გვ. 597).

მოცემული მომენტისათვის ფიქსირებული რენტაბელობის ზღვრული დონე შეიძლება შემდეგნაირად განისაზღვროს:

$$p_{i,t} = (p_{i,t} x_{i,t} - \sum_{j=1}^n I_{j,t} p_{j,t-1} x_{j,t-1}) / \sum_{j=1}^n I_{j,t} p_{j,t-1} x_{j,t-1}, \quad (1)$$

სადაც

$p_{i,t}$ - ზღვრული ფასია პროდუქცია i -ზე დრო t -ში;

$x_{i,t}$ - მონოპოლისტი საწარმოს მიერ რეალიზებული პროდუქცია i -ს მოცულობა დროში t ;

$I_{j,t}$ - ფასების ზრდის ინდექსი დანახარჯებზე j დრო t -ში;

$$I_{j,t} = p_{j,t} / p_{j,t-1}$$

$p_{j,t-1}$ - ფასი ერთეული დანახარჯების სახეობაზე j დროში $t-1$;

$x_{j,t-1}$ - დანახარჯების სახეობა j -ს მოცულობები დროში $t-1$;

$d_{i,t}$ - მონოპოლისტი საწარმოსათვის დასაშვები რენტაბელობის ზღვრული დონე i პროდუქციაზე დროში t , რომელიც შეიძლება სხვადასხვა მოსაზრებების საფუძველზე დადგინდეს.

(1) მოდელში იგულისხმება, რომ $\|i\| > 1$, ე. ი. ადგილი აქვს ფასების ზრდასა და ინფლაციას. თუ ნებისმიერი $\|i\| = 1$, მაშინ რენტაბელობა ტრადიციული ფორმულით გაიანგარიშება.

ზღვრული ფასი, რომელიც შეიძლება დააწესოს მონოპოლისტმა საწარმოს და ამონაგები, რომ მთლიანად მას დარჩეს (1) ფორმულიდან შემდეგნაირად განისაზღვრება:

$$p_{i,t} = (1 + \alpha_i) \sum_{j=1}^n I_{j,t} p_{j,t-1} x_{j,t-1} / x_{i,t}, \quad \text{ან}$$

$$p_{i,t} = (1 + \alpha_i) \sum_{j=1}^n p_{j,t} x_{j,t-1} / x_{i,t}, \quad (2)$$

სადაც α_i მონოპოლისტი საწარმოს პროდუქცია i -ზე მაქსიმალურად დასაშვები რენტაბელობის დონე ეკონომიკის სტაბილური პირობებისათვის, ე. ი. ნებისმიერი $I_{j,t} = 1$. ცხადია მისი დონე ნებისმიერ დარგში ნებისმიერი მონოპოლისტი

საწარმოსათვის არ უნდა აღემატებოდეს 12 პროცენტს. (მსოფლიო და საბჭოთა კავშირში დარგისათვის ნორმატიული გამოსყიდვის ვადა 8 წელზე ნაკლები არ ყოფილა).

სახელმწიფო ბიუჯეტში, როგორც წესი გადასარიცხი თანხა განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:

$$\text{ბიუჯ} = (p_{i,t} - p_{i,t}^*) X_{i,t} \quad (3)$$

სადაც $p_{i,t}$ თავისუფალი ფასი პროდუქცია i -ზე დრო t -ში.

განვიხილოთ მაგალითი.

დავუშვათ, რომ გვაქვს თამბაქოს საწარმო, რომელსაც მოცემულ ბაზარზე მონოპოლური მდგომარეობა უკავია, მისი პროდუქციის თვითღირებულებამ 50 მლნ. მან. შეადგინა. დანახარჯების ზრდის ტემპის ინდექსმა კი 1,25, რენტაბელობის დონე ნორმალური პირობებისათვის მივიღეთ 8% ტოლად, ხოლო წარმოების მოცულობა - 1,30 მლნ. კალოფი. კალოფის საბაზრო ფასი 57 მან. ტოლია. (2) ფორმულის თანახმად

$$p_{i,t}^* = (1 + 0,08) 50,0 / 1,3 = 41,5 \text{ მან}$$

ბიუჯეტში გადასარიცხი თანხა შეადგენს (3) ფორმულის თანახმად

$$\text{ბიუჯ} = (57,0 - 41,5) 1,3 = 20,1 \text{ მლნ. მან.}$$

იმისათვის, რომ შემოთავაზებული მოძრავი ზღვრული ფასების დაწესების მეთოდით იყოს რეალიზებული, სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის სახელმწიფო კომიტეტმა საწარმოები უნდა უზრუნველყოს პროდუქციაზე და მომსახურებაზე ფასების ზრდის ინდექსით.

II. რესპუბლიკის ეკონომიკის ფუნქციონირებისათვის გადამწყვეტია მისი ენერგორესურსები, სხვადასხვა სახის სტრატეგიული ნედლეულით და ისეთი სპარსებო სასურსათო პროდუქტებით მომარაგება, როგორცაა მარცვლეული, რძე და რძის ნაწარმი, ხორცი და ხორცის ნაწარმი, მცენარეული ზეთი და შაქარი.

არსებობს მოსაზრება, რომ კომერციული სტრუქტურები შეძლებენ ნავთობპროდუქტებით რესპუბლიკაში არსებულ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, მაგრამ ეს ნაწილობრივად არის სწორი, რადგან ნავთობპროდუქტების შემოტანა მტკიცედ ცენტრალიზებულად უნდა მოხდეს, რაც დღეს უზრუნველყოფს მის დაცვას, სატრანსპორტო ხარჯების შემცირებას, მნიშვნელოვანი ფასდაკლებით შექმნას და უმეტეს შემთხვევაში ეს განხორციელდება სახელმწიფოთაშორისო შეთანხმების საფუძველზე.

ამჟამად ჩვენი პარტნიორები საწვავის მოწოდებას გარანტირებულად და სტაბილურად ვერ უზრუნველყოფენ. ამიტომ შესაქმნელია ნავთობპროდუქტების შემოტანაში და რეალიზაციაში თავისუფალი კონკურენციის პირობები.

ამიტომ იმპორტი უნდა დაეკისროს არა მარტო კონკრეტულ "ნავთობპროდუქტს" და კერძო სტრუქტურებს, არამედ რამდენიმე მძლავრ უცხოურ ფირმას. საგულისხმოა, რომ აღნიშნული კონკრეტული ინფრასტრუქტურა დამაკმაყოფილებლად განვითარებული, ამიტომ მისი ნაწილი (გასამართი სადგურები) უნდა მიეყიდოს უცხოელებსაც, ან შეიქმნას ერთობლივი საწარმოები. უცხოელი ინვესტორების მიერ განხორციელებული დამატებითი ღონისძიებების შედეგად სისტემის მუშაობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება, გაქრება მოწოდების არასტაბილურობა და ავტოცისტრუქტურებიდან საწვავის რეალიზაციის მანკიერი პრაქტიკა.

პრაქტიკულად, უცხოელი პარტნიორების მოზიდვის აუცილებლობაზე ისიც მეტყველებს, რომ რუსეთიდან და მანეთის სივრციდან შემოტანილი საწვავის საბითუმო ფასი მსოფლიოს ფასს გაუტოლდა; კერძოდ 1ლ ბენზინის ფასი - 130 მან. მაშინ, როდესაც საერთაშორისო ბირჟებზე მისი შექმნა ბათუმში შემოტანით 15-16 ცენტი ჯდება.

ამ ღონისძიებების შედეგად სახალხო მეურნეობა და მოსახლეობა სტაბილურად მიიღებს სათბობსა და საწვავს და ამიტომ რეცესია მკვეთრად შემცირდება, მიუხედავად იმისა, რომ ფასები მათზე შეიძლება ოდნავ მაღალი იყოს, ადგილი ექნება მათზე ფასების სტაბილურობას.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ნავთობპროდუქტებით რესპუბლიკის მომარაგების პრობლემის გადაწყვეტის საქმეში უპირველეს მნიშვნელობას იქნეს თვით კონკრეტული "ნავთობპროდუქტი"-ს პრივატიზება, კერძოდ მისი პოლიდინგად გადაქცევა, ხოლო მასში შემავალი ნავთობბაზების სააქციო საზოგადოებად ფორმირება იმ პირობით, რომ საკონტროლო პაკეტი გარკვეული დროის განმავლობაში სახელმწიფოს დარჩება, ხოლო პოლიდინგი ძირითადად განვითარების სტრატეგიის შემუშავებით, საინვესტიციო პოლიტიკითა და საფინანსო კონტროლით იქნება დაკავებული.

III. არსებული უარყოფითი შედეგების აღმოფხვრა მოითხოვს ანტიინფლაციური ღონისძიებების განხორციელებას. ჯერ ერთი, უნდა გაიზარდოს წარმოების ტემპი, შეწყდეს უთავბოლო საკრედიტო ემისია, მოსახლეობის შრომის ანაზღაურება მკაცრ შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი შრომის ნაყოფიერებასთან.

ძირეულად უნდა შეიცვალოს სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირების პრინციპები. ამ მიზნით უნდა გამოიყენონ ფ. ჰაიეკის საზოგადოებრივი დანახარჯების რაციონალური შეზღუდვების პრინციპი, ე. ი. საზოგადოებამ ჯერ უნდა განსაზღვროს ბიუჯეტის შემოსავლები (2), ამით საზოგადოების წევრებს საშუალება მიეცემათ წინასწარ განჭვრიტონ მათი საგადასახადო ვალდებულებების მოცულობა და მხოლოდ ამის შემდეგ იწყება ბიუჯეტის ხარჯების ფორმირება.

ფასების სტაბილიზაცია ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად სწრაფად განხორციელდება სახალხო მეურნეობის სტრუქტურული გარდაქმნა, კერძოდ, საწარმოების აქციონირება, საწარმოთა კონკურსით ან აუქციონზე გაყიდვა, საწარმოთა შორის კონკურენტული პირობების შექმნა და სხვა.

ლიტერატურა

1. Харрис Л. Денежная теория. М.; Прогресс, 1990
2. Hayek F.A. Low, Legislation and Liberty. v. 3 The Political order of Free People. Chicago, 1979

On Forecasting and Stabilizing of Prices

Ramin Mitaishvili

Scientific-Research Institute of Economics

Summary. While transiting from the administrative command base economy into the market economy in the conditions of hyperinflation, there is given the possibility of forecasting prices on different goods using the models of usual, simple regression.

There is analyzed the possibility of forecasting the currency depreciation in this work, for which logistics, exponential curves are used. It is proved, that by using these models it is possible to elaborate the short term forecasting.

In the conditions of lacking calculation, the definition of the amount of the declining economy is offered by the indirect methods. The matter is the connection of the railway transportation to the national income. The declination of the amount of works at the railway is in proportion with the declination of the national income.

Regulation of prices takes special place in the stabilization of prices. That is why the mechanism of ascertaining the prices and principles of taxation is given.

О прогнозировании и стабилизации цен

Рамин Митаишвили

Научно-исследовательский Институт Экономики

Резюме. В переходной период от командно-административной экономик на рыночную, в условиях кризиса и гиперинфляции показано, что прогнозирование цен возможно и с помощью обыкновенных простых регрессионных моделей.

В работе анализируется возможность прогнозирования величины обесценивания валюты. С этой целью используется линейная, экспоненциальная и логистическая кривые. Обосновано, что с помощью этих моделей возможна разработка краткосрочных прогнозов.

В условиях отсутствия должного учета предложено определение величины спада экономики на основе определения взаимосвязи между национальным продуктом и объемом перевозок грузов на железнодорожном транспорте, т.к. показано, что с уменьшением национального дохода падает и объем перевозок на этом виде транспорта.

В стабилизации цен важное место занимает регулирование цен для предприятий монополистов. С этой целью показан механизм установления цен (рентабельности) и принцип изъятия штрафов.

წესები ავტორიტატის

1. ჟურნალში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე: ეკონომიკის სერია, ქვეყნდება ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე, სტატიები რომლებიც შეიცავენ ინფორმაციას თანამედროვე მოწინავე ეკონომიკური მიმართულებების თეორიული და პრაქტიკული კვლევების შედეგების შესახებ. პერიოდულად იბეჭდება რეცენზიები, აგრეთვე იმ კონფერენციების, სხდომებისა და სხვა სამეცნიერო-ორგანიზაციული ღონისძიებების ქრონიკები, რომლებიც რესპუბლიკაში ტარდება.

2. რედაქციაში გამოგზავნილი სტატიის ორიგინალი ხელმოწერილი უნდა იყოს ავტორის მიერ, თანაავტორობის შემთხვევაში კი - ყველა თანაავტორის მიერ, სახელის, გვარის, სამუშაო ადგილის, სამეცნიერო ხარისხის და წოდების, სრული საფოსტო მისამართის, ტელეფონის, ტელეფაქსის, ტელექსის მითითებით.

3. სტატიის მოცულობა, გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი, რეზიუმე ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე არ უნდა აღემატებოდეს ნაბეჭდი ტექსტის 24 გვერდს, რომელიც დაბეჭდილია 2 ინტერვალთ. მარცხენა მხარეს დატოვებული უნდა იყოს 4 სმ სივანის მინდორი.

რეზიუმე, გამოყენებული ლიტერატურის სია, ცხრილები და ნახატების მინაწერები სრულდება ცალკე ფურცელზე.

მოკლე მოხსენებების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 7 ნაბეჭდ გვერდს.

რედაქციაში სტატიების წარმოდგენა აუცილებელია ორ ეგზემპლარად. ხელნაწერის ყოველი გვერდი, ლიტერატურის სიის ჩათვლით, უნდა იყოს დანომრილი.

4. ილუსტრაციები (ორ ეგზემპლარად) ცალკე უნდა ახლდეს ნაშრომს. ნახაზები და გრაფიკები შესრულებული უნდა იყოს მკაფიოდ ტუშით, კალკაზე ან მილიმეტრიან ჭადალზე. ფანქრით შესრულებული, ტექსტში ჩახაზული, ან ხელნაწერზე დაწებებული ნახაზები არ მიიღება. აუცილებლად უნდა მიეჭკეს ყურადღება აღნიშვნების იდენტურობას ტექსტში და ნახაზზე. ყველა მინაწერი, რომელიც ფრავს ნახაზს უნდა შეიცვალოს ციფრობრივი, ან ასოითი აღნიშვნით, განმარტებები კი ჩამოტანილ იქნეს ნახაზის მინაწერში.

5. ყოველი ილუსტრაციის მეორე მხარეს აღნიშნულ უნდა იყოს მისი რიგობრივი ნომერი და ავტორების გვარები.

6. ფორმულები და განმარტებები თუ ჩაწერილია ხელით უნდა შესრულდეს გარკვევით. ინდექსის ჩაწერისას კარგად უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისგან შტრიხი, ერთიანი და მძიმე. ფორმულების ჩაწერისას კარგად უნდა ჩანდეს განსხვავება დიდ და პატარა ასოებს შორის: თუ 'მათ ერთნაირი მოხაზულობა აქვთ დიდ ასოს ფანქრით უნდა გავუსვათ ხაზი ქვემოდან (მაგ. X). გამსაჯორებით ზუსტად უნდა ჩაწეროს ერთმანეთის მსგავსი ასოები G და g | და i | და n და სხვ).

7. ლიტერატურის დასახელება უნდა მოთავსდეს სტატიის ბოლოს ერთიანი სიის სახით (რეცენზიებში, რომლებიც უნდა გამოქვეყნდეს რუბრიკით კრიტიკა და ბიბლიოგრაფია ლიტერატურა დასახელებდა გვერდის სწოლით).

წიგნებისათვის უნდა დავიცვათ შემდეგი თანმიმდევრობა: ავტორის გვარი და ინიციალები, წიგნის დასახელება, ტომი, გამოცემის ადგილი, გამოცემლობა, წელი.

საჟურნალო სტატიისათვის - ავტორის გვარი და ინიციალები, სტატიის დასახელება, ჟურნალის დასახელება, წელი, ტომი, ნომერი (გამოშვება).

ლიტერატურის ნომერი სიაში შეესაბამება ტექსტში მათი მოხსენიების რიგს. ტექსტში ლიტერატურის დასახელებისას უნდა აღინიშნოს მისი რიგითი ნომერი (მაგ. [3]). ლიტერატურის სიაში ყოველი წიგნის ბიბლიოგრაფიული აღწერა ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს წიგნის (ჟურნალის) სატიტულო ფურცელს.

8. ავტორთა საყურადღებოდ რედაქცია აღნიშნავს, რომ სტატიის ტექსტსა და ნახატებს უნდა ჰქონდეს მინაწერი დასაბეჭდად. როგორც წესი კორექტურა ავტორებს არ ეგზავნებათ.

9. სასურველია სტატიაში აღინიშნოს რითი განსხვავდება მიღებული შედეგი ადრე ცნობილისაგან.

10. ჟურნალში სტატიები გამოქვეყნდება რედაქციაში შემოსვლის რიგის მიხედვით. თუ რედაქცია დააბრუნებს სტატიას გადასამუშავებლად, სტატიის წარმოდგენის თარიღად ითვლება რედაქციის მიერ საბოლოო ტექსტის მიღების თარიღი. ჟურნალის ერთ ნომერში შეიძლება ავტორის ერთი სტატიის ან ერთი მოკლე შეტყობინების გამოქვეყნება.

11. სტატიის გამოქვეყნებაზე უარის თქმის შემთხვევაში რედაქცია უფლებას იტოვებს არ დაუბრუნოს ავტორს ერთი ეგზემპლარი.

12. ხელნაწერები რომლებიც არ უბასუხებს ზემოთ მოყვანილ მოთხოვნებს რედაქციის მიერ არ მიიღება.

INSTRUCTION TO AUTHORS

1. The journal "Proceedings of the Georgian Academy of Sciences: Economic Series" publishes articles in Georgian, Russian and English, which includes the results of theoretical and applied research in leading trends of modern economic sciences. Periodically published reviews, chronicles of conferences, meetings, seminars etc. held in the Republic.

2. An original article sent to editorial board must be signed by all authors, providing names, first names, position, degrees, titles, full address, telephone, fax and telex.

3. Volume of an article, list of references and summary in Georgian, Russian and English should not exceed 24 typewritten lines with double spacing. On the left hand side 4 cm margins should be left.

Summary, list of references, tables and signs under illustrations should be submitted separately.

A volume of short notes should not exceed 7 typewritten lines.

Two copies of papers should be sent to the publisher. All pages of manuscripts, including references should be numbered.

4. Illustrations (two copies) should be submitted separately.

Drawings and drafts should be filled legibly with indian ink on tracing paper or squared paper. Drafts in pencils, drawn in texts or pasted onto manuscripts are not accepted. It is necessary to keep an eye on exact accordance of designations in texts and drafts. All legends, overloading drafts should be substituted by figures or letters, explanations of them should be moved to inscriptions under illustrations.

5. On the back of each illustration it's ordinal number and authors' names should be written down.

6. Formulas and designations should be handwritten by ink, legibly, large and loosely. Subindexes should be avoided as far as possible.

When marking indexes it is necessary to differ strokes and numeral-units from commas.

When writing formulas it is necessary to differentiate strictly between small and capital letters. This requirement is applied especially to the letters of the same inscription distinguishing only by their size: capital letters are underlined with line below (for example, X).

It is necessary to write carefully the letters looking alike (g and q, l and e, u and n etc.).

7. Literature is listed as a general list at the end of an article (in the reviews published in the section "Criticism and Bibliography" literature is given in footnotes) in the following order: books, 1st 2nd and 3rd names of the author, title of the book, place of publication, publishing house, year of publication.

Journal articles: books, 1st, 2nd, 3rd names of the author, articles's title, year of publication, volume, issue.

Literature is listed following the sequence of references in the text of an article. References in the text of an article are given in parentheses. A bibliographic description of each title in the list of literature must correspond strictly to the title-page of a book or a journal.

8. The editorial staff calls your attention to the fact that a typed text and drawing ready for type-setting signed "ready for printing" and proof-sheets for reading, as a rule, are not sent back to authors.

9. It is advisable to mention in an article the distinctive features of the given result from all the others already known.

10. Articles are published in succession of their receiving by the editorial staff. If an article is sent back to the author for revision, the date of receiving the final text is regarded as the date of submission for consideration. In one issue of a journal only one article or one brief report of an author is published.

11. In case of a refusal to publish an article, the editorial staff reserves the right not to return one copy of an article to author.

12. The manuscripts not meeting these requirements are not taken for consideration by editorial staff.

ПРАВИЛА ДЛЯ АВТОРОВ

1. В журнале "Известия АН Грузии: серия экономическая" публикуются статьи на грузинском, русском и английском языках, в которых содержатся результаты исследований теоретического и прикладного характера по ведущим направлениям современной экономической науки.

Периодически публикуются рецензии, хроника о конференциях, со-вещаниях, семинарах и других научно-организационных мероприятиях, проводимых в республике.

2. Направленный в редакцию оригинал статьи должен быть подписан автором, а в случае соавторства - всеми соавторами с указанием фамилии, имени, отчества, места работы, ученой степени и звания, полного почтового адреса и телефонов, телефаксов, телексов.

3. Объем статьи, список использованной литературы, резюме на грузинском, русском и английском языках, не должны превышать 24 страниц машинописного текста, отпечатанных через два интервала. С левой стороны оставляются поля шириной 4 см.

Резюме, список использованной литературы, таблицы и подписи к рисункам исполняются на отдельных листах.

Объем кратких сообщений не должен превышать 7 страниц машинописного текста.

Статьи представляются в редакцию обязательно в двух экземплярах. Все страницы рукописи, включая литературу, должны быть пронумерованы.

4. Иллюстрации (в двух экземплярах) прилагаются к рукописи отдельно. Чертежи и графики должны быть выполнены четко, тушью на кальке или миллиметровой бумаге. Чертежи, выполненные карандашом, вычерченные в тексте или приклеенные к рукописи не принимаются. Необходимо тщательно следить за точным соответствием обозначений в тексте и на чертежах. Все надписи, загромождающие чертеж, должны быть заменены цифровыми или буквенными обозначениями, а объяснения к ним вынесены в подпись к рисунку.

5. На обороте каждой иллюстрации должны быть проставлены ее порядковый номер и фамилии авторов.

6. Формулы и обозначения должны быть вписаны от руки чернилами, свободно, четко, крупно; следует по возможности избегать субиндексов.

В начертании индексов следует четко отличать штрих и единицу от запятой.

Должно соблюдаться строгое различие между строчными (малыми) и прописными (большими) буквами, имеющими одинаковое начертание и различающимися только своим размером: заглавные буквы подчеркиваются черточкой снизу (например, X).

Необходимо тщательно вписывать похожие одна на другую буквы (g и q, l и e, u и n и др.).

7. Литература приводится в конце статьи общим списком (в рецензиях, публикуемых в разделе "Критика и библиография", литература дается в подстрочных примечаниях) в следующем порядке:

Книги: Фамилия и инициалы автора. Название книги. Том. Место издания, издательство, год.

Журнальные статьи: Фамилия и инициалы автора. Название статьи. Название журнала, год, том, номер (выпуск).

Список литературы составляется в порядке упоминания работ в статье. Ссылки на литературу в тексте даются в квадратных скобках (например, [3]).

Библиографическое описание каждого названия в списке литературы должно строго соответствовать титульному листу книги (журнала).

8. Редакция обращает внимание авторов на то, что подготовленный к набору машинописный текст статей и рисунки подписываются авторами "в печать" и корректура для просмотра, как правило, не высылается.

9. В статье желательно указать, чем отличается предлагаемый результат от ранее известных.

10. В журнале статьи публикуются в порядке поступления в редакцию. В случае возвращения автору статьи для доработки, датой представления считается день получения редакцией окончательного текста. В одном номере журнала может быть опубликована одна статья автора или одно краткое сообщение.

11. В случае отклонения статьи редакция оставляет за собой право не возвращать автору один экземпляр.

12. Рукописи, не отвечающие настоящим правилам, редакцией не принимаются.

გადაეცა წარმოებას 31-796; ხელმოწერილია დასაბეჭდად 29-796; ქალაქის ზომა 70x108 1/16; ქალაქი ოფსეტური; ბეჭდვა ოფსეტური; პირობითი ნაბეჭდი თაბახი 4,9; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,36; ტირაჟი 100; შეკვეთა N 425; ფასი სახელშეკრულებო

380007, თბილისი, ქიქოძის 14, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი
ტელ. 99-68-53, 99-07-02, ფაქსი: 998-389

საწარმო-სამეცნიერო გეროიანება "მეცნიერება", თბილისი, 380060, კატეჯოვის ქ. 19

CONTENTS

A. Griffiths Collusion, Anticompetitive Behaviour and Merger Control: an EC Dimension	3
A. Gunia Market (Market Relations) as an Economic Category . . .	18
J. O'Brien Marx's Truly Human Society and the Chiaroscuro of Perfection	26
R. Mitaishvili On Forecasting and Stabilizing of Prices	39
Instruction to Authors	50